ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

GIPA
In hoc signo vinces

კარწახის ტბაზე ეკო-კოტეჯები აშენდა

ჯავახეთის დაცული ტერტორიები 2011 წელს დაარსდა და მოიცავს ჯავახეთის ეროვნულ პარკს, ბუღდაშენის, ხანჩალის, მადათაფას, სულდას და კარწახის აღკვეთილებს. იგი ახალქალაქისა და ნინოწმინდას მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარეობს.

ჯავახეთი უტყეო მხარეა. ყველაზე მდიდარი ბუნებრივი სუბალპური ტყე, სადაც თეთრი არყი, კავკასიური ცირცელი, ჩიტაკომშა და ასკილისა და ჟოლოს ბუჩქნარებია, საქართველო -თურქეთის საზღვარზე მდებარე კარწახის ტბის მიდამოებშია. კარწახის, იგივე ხოზაფინის ტბა, ცნობილია იქ მობინადრე ფრინველთა ნაირსახეობით. ტბა გალღობას ვერ ასწრებს, როდესაც ვარხვები, რუხი ბატები, მელოტები და რუხი წეროები უკვე მოფრენილები არიან და ჩიტების დაკვირვებით გატაცებულ უცხოელ თუ ქართველ ტურისტებს იზიდავენ.

ტურისტებს კი გამართული ინფრასტრუქტურა სჭირდებათ. სწორედ ამიტომ გაუჩნდათ ჯავახეთის დაცული ტერიტორიების წარმომადგენლებს, კარწახის ტბაზე ეკო-კოტეჯების აშენების იდეა. ფინანსური დახმარებისათვის ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) მიმართეს, რომელიც ძალიან დაეხმარა საპროექტო წინადადების მომზადებაში.

პროექტმა გაიმარჯვა და ევროკავშირის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა მიიღო. დღეს კარწახის ტბაზე, ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან აგებული ორი კოტეჯია განთავსებული. თითო კოტეჯს 8 ადამიანის მიღება შეუძლია.

პროექტის შედეგად დასაქმდა: 2 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 113,772.44 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 73,951.80 ლარი
თანადაფინანსება: 39,820.64 ლარი

“ხის პატარა სახლები ელექტროენერგიით მზის პანელებისგან მარაგდება. თითოეულ კოტეჯში რვა საწოლი დგას, სტუმრებს სამზარეულოც დახვდებათ. ტურისტებისათვის ძალიან მყუდრო და კომფორტული გარემოა შექმნილი. ფასიც ხელმისაწვდომია - 20 ლარი 1 პერსონა.

კოტეჯები ფრინველებზე დაკვირვებისათვის სპეციალურად აგებულ შენობასთან ახლოსაა განთავსებული, რაც ტურისტებს დამატებით კომფორტს უქმნის”, - ამბობს დაცული ტერიტორიების უსაფრთხოების სამსახურის უფროსი თამაზ კარაპეტიანი.

MERCY CORPS

West Cork DEVELOPMENT PARTNERSHIP

ELVA

კარწახის ტბაზე აშენებული კოტეჯების შესახებ რეგიონშიც გახდა ცნობილი. ახალქალაქიდანაც მოდიან ოჯახები და რამდენიმე დღეს კოტეჯებში ატარებენ. ვისაც ფრინველებზე დაკვირვება არ უყვარს, შეუძლია ითევზაოს.
უცხოელ ტურისტებს ველო და საფეხმავლო ბილიკები იზიდავს. მარშრუტი იწყება ჯავახეთის ეროვნული პარკის კარწახის მხრის შესასვლელთან და მიემართება თურქეთის საზღვრისკენ. ბილიკი მიუყვება კარწახის ტბის ნაპირს ფრინველებზე დაკვირვების კოშკამდე და უკან ბრუნდება შემოვლითი გზით. ბილიკზე შესაძლებელია საპიკნიკე ადგილებით სარგებლობა. ეს მარშრუტი ძალიან საინტერესოა პროფესიონალი ორნიტოლოგებისათვის.

“ჩვენ რეგიონში ეკო-ტურმიზის განვითარებისათვის კოტეჯების აშენება წინგადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამართვა ხელს შეუწყობს ჯავახეთის ტურისტული პოტენციალის ზრდას.
ამისათვის კი მინდა მადლობა გადავუხადო ევროკავშირს, GIPA, LAG გაწეული დახმარებისათვის. ვფიქრობთ, მომავალი წლისთვის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოიხსნება და ჩვენი კოტეჯები უცხოელი და ქართველი ტურისტებით სრულად დაიტვირთება,” - აღნიშნა თამაზ კარაპეტიანმა.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.